პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 108 (9884) | შაბათი, 8 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
სოფლის მთელი ძალები მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. — ნ. ჯანჯღავა, შ. ჭოჭუა. — კოლმეურნეობა „განთიადი“ სიუხვის გზაზე. — გ. ზუკაკიშვილი. — ახლებურად, საქმის ცოდნით ვუხელმძღვანელოთ მეცხოველეობას. — შ. აბრამაშვილი. — ერთი კოლმეურნეობის კომუნისტები. — შ. არაბული, გ. ბესტაევი. — საუკეთესოდ მოვუაროთ ნათესებს (მე-2 გვერდი).
საბჭოთა საქართველოს მეურნეობის ინფორმაციები (მე-2 გვერდი).
საკდესის ცნობა (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობის თემაზე. — მ. დარბაისელი. — სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები ახლებურად წარმართავენ მუშაობას (მე-3 გვერდი).
გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
შ. ამირანაშვილი. — მხატვრული კინოტექნიკის [illegible] (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
თბილისი — ქალაქის ქრონიკა (მე-4 გვერდი).

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ღირსების საქმე

სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე დაყრდნობილი საბჭოთა ლიტერატურა მთელ მსოფლიოში ყველაზე იდეური, პრინციპული და ბრძოლისუნარიანია. მის წინაშე გადაბმულია წინსვლისა და განვითარების უჩვეულო პერსპექტივები. ყველა წარმატებას იგი აღწევს სწორი პარტიული ხელმძღვანელობით. პარტიის ყრილობებსა და კონფერენციების დადგენილებანი, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი, დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შეხედულებანი განსაზღვრავენ საბჭოთა მწერლობის განვითარებას, უზრუნველყოფენ მის განუხრელ აღმავლობას.

საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას, კიდევ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს, მათ შორის მწერლებს. ისინი მოვალენი არიან შექმნან ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებები, საბჭოთა ცხოვრების სიდიადის გამომხატველი დიდი ეპიური ტილოები, ღირსეულად ასახონ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში წარმოებული გრანდიოზული მუშაობა კომუნიზმის ასაშენებლად, მშრომელთა პატრიოტული მისწრაფებანი, ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა. ამ ამოცანის გადაჭრაში ქართველი მწერლები მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობით როდი მონაწილეობენ. უკანასკნელ წლებში მეტად ნელა იქმნება კარგი წიგნები, მკითხველთა მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი მხატვრული ქმნილებანი. მაგალითად, სოფლის თემაზე კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარის“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვას“, ი. მოსაშვილის „მისი ბარსკვლავის“, მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერის“ და სხვათა შემდეგ ქართველ მწერლებს არ დაუწერიათ სინამდვილის მთელი სიღრმით, რეალისტურად ამსახველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, არ შეუქმნიათ საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის მებრძოლ ადამიანთა ცოცხალი სახეები. მწერლობის წამყვანი ძალები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ საჭირო აქტივობას არ იჩენენ, ხოლო ახალგაზრდებს ხშირად აკლიათ ცხოვრების ცოდნა, მხატვრული ოსტატობა, შექმნილი ნაწარმოებების უმეტესობაც ზერელეა, უფერული და უნიათო.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის XVIII პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს ახალგაზრდა მწერლის ი. ურჯუმელაშვილის რომანი „თანატოლები“ ნაჩქარეობის, სინამდვილის მკრთალად ასახვის, მხატვრული ოსტატობის დაბალი დონისათვის. რამდენიმე კარგი ადგილისა და მოქმედი პირის ხასიათის ნიშნების გარკვეულად მოხაზვის მიუხედავად, ეს თხზულება სრულიად ვერ ტოვებს დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას, ვერ აძლევა თანამედროვე სოფლის ცხოვრების მართალ სურათს. სუსტია ხ. ბერულავას „სიმღერა ვარსკვლავებზეც“. ავტორი აქ ყურადღებას ამახვილებს მეორე, მესამეხარისხოვან ამბებზე და სრულიად ვერ ახერხებს დღევანდელი სოფლის ადამიანთა სახეების შექმნას. როგორც ქართულ პროზაში, ისე პოეზიასა და დრამატურგიაში უკანასკნელ წლებში დაწერილი ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ უპასუხებს თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს, მკითხველები მათში ვერ პოულობენ სწორ პასუხს ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმებზე მხილებული იყო სოფლის მეურნეობაში არსებული ნაკლოვანებანი და დაისახა ყველა მისი დარგის მძლავრი აღმავლობის ღონისძიებანი. მათი გადაჭრა მწერლობას ხერიოზულ მოვალეობას აკისრებს. ქართულ ლიტერატურაში ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია, მაგრამ მდგომარეობა სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. სოფლის თემებზე ჩვენი მწერლები ჯეროვანი აქტივობით არ მუშაობენ, არ იყენებენ ამ დარგში ქართული ლიტერატურის უმდიდრეს გამოცდილებას. სექტემბრის პლენუმიდან საკმაო დრომ განვლო, საყურადღებო ძვრები კი მაინც არ მომხდარა. მართალია, ეს დრო მეტად მცირეა დიდი ფორმის თხზულებათა შესაქმნელად, მაგრამ მოთხრობების, ნოველების, ნარკვევების, ლექსების, ლექსთა ციკლების დასაწერად სავსებით საკმარისი იყო.

სექტემბრის პლენუმამდე დაიბეჭდა მწერალ ო. ჩხეიძის „ჯებირი“. მასში მკვეთრად არის ასახული სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა, ძირითადად მხატვრული სიმართლით მოცემულია საკოლმეურნეო წყობილების დღევანდელ ეტაპზე მიმდინარე პროცესები, სოფლად მომუშავე ადამიანთა მართალი სახეები. ნაკლოვანებათა მიუხედავად, ეს რომანი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. გამოქვეყნდა ორიოდე სხვა კარგი მოთხრობაც, მაგრამ ეს სრულიად არ არის საკმარისი. თანამედროვე სოფლის ცხოვრება, სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე სოფლად წარმოებული გრანდიოზული მუშაობა ქართულ ლიტერატურაში ღირსეულად არ არის ასახული.

მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ჩვენი მწერალთა საზოგადოებრიობის პირველხარისხოვანი ამოცანაა. აუცილებელია ცხოვრების ღრმად შესწავლა, მის შუაგულში ყოველდღიური ტრიალი, ფაქტების სწორი ანალიზი, მათგან დამახასიათებლის, ტიპიურის შერჩევა, საზოგადოების წინსვლის განმსაზღვრელი მოვლენების წინ წამოწევა. მწერლები სრულყოფილად უნდა ხატავდნენ დადებითი ადამიანების, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლების მდიდარ სულიერ სამყაროს, სასტიკად გმობდნენ და ამათრახებდნენ სულიერად მახინჯ პიროვნებებს, კაპიტალიზმის ველურ გადმონაშთებს. ყოველივე ამისათვის გადამწყვეტია მხატვრული ოსტატობის დონის ზრდა, წერის კულტურის ამაღლება. საჭიროა ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირი, მისი სექციები, პარტიული ორგანიზაცია, ლიტერატურული კრიტიკა, პრესა. ნაკლოვანებების ძირშივე აღმოფხვრისათვის ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში.

ჩვენი მწერლები ახლა ემზადებიან საბჭოთა კავშირის მწერალთა მეორე და საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობების შესახვედრად. მთავარი ამოცანაა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო, ხელი შევუწყოთ მწერალთა შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ გაძლიერებას, ლიტერატურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ღრმად შესწავლასა და განზოგადებას. ფართოდ უნდა გავშალოთ შემოქმედებითი დისკუსიები საბჭოთა ხალხის ცხოვრების რეალისტურად ამსახველი წიგნების გარშემო, უფრო შემოქმედებითად გავაშუქოთ სოციალისტური რეალიზმის აქტუალური პრობლემები.

კიდევ უფრო ახლო ვიდგეთ ცხოვრებასთან, ღრმად ჩავწვდეთ მის მოვლენებს, გადაჭრით ავამაღლოთ მხატვრული ოსტატობის დონე, შევქმნათ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის შესაფერი სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებები, — ასეთია ჩვენი მწერლების უპირველესი მოვალეობა, სახელისა და ღირსების საქმე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ ორდენი „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელ-დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ბარექიანს** ანაიტ გევორქის ასულს — ახალქალაქის რაიონის სოფელ აბულის კოლმეურნეს.
2. **დარასელიას** ქსენია ძიკის ასულს — დიასახლისს, ქალაქი ზუგდიდი.
3. **ჯიოევას** ეზნა ანტონის ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
4. **ყარაჯაევას** სოფიო ყასუმ ყზის — მარნეულის რაიონის სოფელ აშალასარალის კოლმეურნეს.
5. **ყარაგეზოვას** მიროფორა კონსტანტინეს ასულს — დიასახლისს, წალკის რაიონის სოფელი ბეშტაშენი.
6. **კარახანიანს** ეღისაბერტ არსენის ასულს — ახალქალაქის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
7. **ლევანიანს** ეღისაბერტ არუთინის ასულს — ახალქალაქის რაიონის სოფელ ხულგუმოს კოლმეურნეს.
8. **ხუგაევას** ნატალია გოგიას ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
9. **ხუგაევას** ნუცა ვანოს ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 3 მაისი.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

მრეწველობის მუშაკებმა უნდა გააძლიერონ დახმარება სოფლისადმი

მოწინავე შეფების ინიციატივა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის ბარიტის ქარხნის, გზატკეცილების მეექვსე უბნის, ქალაქის გამწვანების ტრესტისა და საავტომობილო ქარხნის კოლექტივებმა, რომლებიც შეფობას უწევენ მტს-ებსა და კოლმეურნეობებს, ახალი ინიციატივა გამოიჩინეს: საგაზაფხულო თესვის შემჭიდროებულ ვადებში დასამთავრებლად და მიმდინარე წლის უხვი მოსავლის უზრუნველსაყოფად საშეფო მტს-ებში მიავლინეს თავიანთი ტრაქტორისტები, რომლებიც სოფლის მექანიზატორებს ეხმარებიან თესვასა და ხვნაში.

ქუთაისის ბარიტის ქარხნისა და ქალაქის გამწვანების ტრესტის კოლექტივებმა სოფელ გუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თავიანთი ტრაქტორებით მიავლინეს ტრაქტორისტები ვ. ირემაძე და ვ. ჩერნიხი, რომლებმაც უკვე დათესეს და დაფარცხეს 100 ჰექტარი. გზატკეცილების მეექვსე უბნის ხელმძღვანელებმა საშეფო კოლმეურნეობებში თავიანთი ტრაქტორებით მიავლინეს გ. ნადარეიშვილი და ო. ჩხენკელი, ხოლო საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელებმა — მ. გოგიაშვილი.

სოფლის მეურნეებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის ასეთი ინიციატივის გამოჩენას კოლმეურნეები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. მოწინავე შეფების ამ მაგალითს ბაძავენ ქუთაისის სხვა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებიც.

„შემოფარგლული“ დახმარება არ კმარა

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ კორ.). ტყვარჩელის სახელმწიფო თბოელექტროსადგურის კოლექტივმა შარშან შემოდგომაზე იკისრა გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის შეფობა. ამ კოლმეურნეობას აქვს საკუთარი მცირეძალიანი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც გამართულად ვერ მუშაობდა.

ტყვარჩელელმა შეფებმა კოლმეურნეებს შეუკეთეს სადგურის დანადგარები, უზრუნველყვეს მისი გამართული მუშაობა და მოუწყეს ელექტროფიცირებული ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ასევე კარგი დახმარება გაუწია ტყვარჩელის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა თავის საშეფო კოლმეურნეობას — ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებას“, ხოლო ტყვარჩელ-შახტმშენის ტრესტმა — გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ შეფების ასეთი დახმარება კოლმეურნეობებისადმი არ არის საკმარისი. ეს დახმარება უფრო ყოვლისმომცველი, უფრო ოპერატიული უნდა იყოს. დაიწყო საგაზაფხულო ნათესების დამუშავება, ჩაის შერჩევით კრეფა. მალე გაჩაღდება ჩაის ფოთლის მასობრივი კრეფა. ამ სამუშაოთა მოკლე ვადებში შესრულებისათვის კოლმეურნეობებს შეფებმა ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ.



საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დღიური

მოწინავე ტრაქტორისტები

თეთრი წყაროს. („კომუნისტის“ კორ.). კომკავშირელი ტრაქტორისტი ე. საფაროვი შეუფერხებლად ამუშავებს „დტ-54“ მარკის ტრაქტორს. მან ერთ დღეს კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 12 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 7 ჰექტარისა. ა. დალაქიშვილმა კარტოფილსარგავი მანქანით კვადრატულ-ბუდობრივად დარგო 8 ჰექტარი კარტოფილი.

სოფელ ჯიგრაშენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტი ვ. პანაიტიდი კარგად აწყობს სადღეღამისო მუშაობას. მან დამის ცვლაში მოხნა 14 ჰექტარი ნაცვლად 7 ჰექტარისა. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მანგლისის მტს-ის პირველი სატრაქტორო ბრიგადა, რომელიც ემსახურება სოფელ ლოლოვანის კოლმეურნეობას. ამ ბრიგადამ ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანადგა. გეგმით გათვალისწინებულ 63 ჰექტარის ნაცვლად საგაზაფხულო სამუშაოები შეასრულა 82,4 ჰექტარზე. მეოთხე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელიც სოფელ შეხვეტილის კოლმეურნეობას ემსახურება, საგაზაფხულო სამუშაოთა დავალება 182 პროცენტით შეასრულა. კარგად იმუშავეს ტრაქტორისტებმა მ. ტატუაშვილმა და ზ. ჩოხელმა.

ეს დღე წარმატებით აღნიშნა ასურეთის მტს-ის კოლექტივმა. სიმინდი ბუდობრივად დათესა 84 ჰექტარზე, თესვისწინა კულტივაცია ჩატარდა 28 ჰექტარზე, მინდვრად გაიტანეს 32 ტონა ნაკელი, ჯიჯილი დაფარცხეს 177 ჰექტარზე, მზესუმზირა კი 71 ჰექტარზე. ამ საქმეში თავი ისახელეს ბრიგადირმა ლ. ცაბურიშვილმა და ტრაქტორისტმა პ. ბოსტანჯიევმა.

ჩაის ფოთლის კრეფა

გალი. („კომუნისტის“ კორ.). დამდგარი თბილი ამინდების გამო ჩაის ბუჩქები სწრაფად ვითარდებიან. ბევრგან უკვე საკრეფად შემოვიდა ჩაის ფოთოლი. სოფელ მზიურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სულ მოიკრიფა 962 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, სოფელ ნარინჯოვანის კოლმეურნეობაში — 981 კილოგრამი.

სოფელ ჭუბურხინჯის კაგანოვიჩის სახელობის, სოფელ რეჩხიცხირის საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობებში გუშინ დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა და მოიკრიფა პირველი ახალი კილოგრამი.

ამ დღეს სოფელ ნარინჯოვანის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობაში კვადრატულ-ბუდობრივად ათი ჰექტარი სიმინდი დათესეს. ამდენივე დათესა სოფელ გაგიდის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში.

* * *

ცხაკაია. (ტელეფონით საკ. კორ.). სოფელ უშაფათის კოლმეურნეობაში დაიწყო ჩაის შერჩევითი კრეფა. მოიკრიფა 700 კილოგრამი ჩაის ნედლეული. კრეფაში დაწინაურდნენ თ. გოგინავა, ო. ბარკალაია, ნ. შამათავა.

ჩაის ფოთლის კრეფას შეუდგა აგრეთვე სოფელ პირველი მაისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

მექანიზატორთა ახალი კადრები მტს-ებს

გურჯაანი. (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ველისციხის სასწავლებელი კომბაინერებსა და ტრაქტორისტებს ამზადებს. ამ დღეებში მოხდა კურსდამთავრებულთა მორიგი გამოშვება. აღმოსავლეთ საქართველოს 36 მტს-ში სამუშაოდ გაემგზავრა 315 ტრაქტორისტი და 64 კომბაინერი.

ი. უძილაურმა, ა. ვალიევმა, შ. ბერულაშვილმა, ა. აიკაზოვმა, რ. ჩიტოშვილმა, ი. ბეროზაშვილმა, ვ. ჯავახიშვილმა და სხვებმა წარჩინებით დაამთავრეს სასწავლებელი. მათ პირობა დადეს, რომ სამუშაოთა დავალებებს ორმაგად შეასრულებენ.

დიადი თარიღისადმი მიძღვნილი მხატვრული დღე

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის საზამთრო დარბაზში ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის აქტივმა მოაწყო მხატვრული დილა, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი. მხატვრული დილის მონაწილეებმა მოისმინეს გ. ღლონტის მოხსენება თემაზე „რუსი და უკრაინელი ხალხების ისტორიული მეგობრობა“.

სიტყვებით გამოვიდნენ ბათუმის სკოლების მოსწავლეები, ხოლო მოსწავლე გ. სანადირაძემ წაიკითხა საკუთარი ლექსი „უკრაინა“.

დასასრულ პიონერთა პარკის თვითმოქმედმა კოლექტივებმა გამართეს კონცერტი.

★

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი სტენდი, რომელიც მოწყობილია თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. ბოგდან ხმელნიცკის სურათი შესრულებულია მხატვარ ა. ეღენტის მიერ.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

მოწინავე კოლმეურნეობა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სიმინდის თესვაზე წარმატებით იმუშავეს სოფელ დარჩელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში. დათესეს 19 ჰექტარი სიმინდი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 12 ჰექტარი. დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც კ. ჩუხუა, ვ. აკობია, პ. გუგუჩია ხელმძღვანელობენ.

ამ კოლმეურნეობამ ერთ დღეს 1.700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მარტო მარიამ ჩუხუას რგოლმა მოკრიფა 120 კილოგრამი. კრეფის დღიური ნორმები ორმაგად შეასრულეს ც. ბერულავამ, ბ. ფიფიამ, ვ. მოსიამ და სხვებმა.

ტრაქტორისტებიდან კარგ მაჩვენებელს მიაღწია ხ. გულორდავამ, რომელმაც 12 ჰექტარი ნიადაგი გადახნა, აგრეთვე მუშაობდა ფარცხვაზე. რაიონის კოლმეურნეობებში ამ დღეს სულ დათესეს 550 ჰექტარი სიმინდი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივი წესით — 160 ჰექტარი.

ახალი საწარმოები რაიონში

ცაგერი. (საკ. კორ.). რაიონს აგურის წარმოების ორი პრიმიტიული ქარხანა ჰქონდა, რომლებიც წლიურად მხოლოდ 140-150 ათას ცალ აგურს უშვებდნენ. იმავამდე რაიონის სამრეწველო კომბინატმა დაბა ცაგერში აააგო აგურის ახალი ქარხანა, რომელიც მთლიანად მექანიზებულია და დღიურად 8 ათას ცალ აგურს გამოუშვებს. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო მიმდინარე წელს 1,5 მილიონი ცალი აგური გამოუშვას კოლმეურნეობათა და რაიონის საწარმო-დაწესებულებათა ფართოდ გაშლილი მშენებლობისათვის.

ალპანის მინდვრებზე, ღვირიშში აიგო კირის გამოსაწვავი შახტისებური ღუმელი, რომელიც წლიურად ორი ათას ტონა მაღალხარისხოვან კირს გამოუშვებს. ღვირიშის კირი, მაღალ სამშენებლო თვისებასთან ერთად, ვარგისი იქნება ვენახის შესაწამლავი ხსნარის დასამზადებლად.

კომბინატმა რაიონის ცენტრში თეთრი თლილი ქვისაგან აააგო ორსართულიანი საწარმოო კორპუსი, სადაც მოთავსებულია საყოფაცხოვრებო საგნების საწარმოო სახელოსნოები.

საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობა

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 5 მაისის ცნობებით)

რაიონები	სულ გამოყოფილის კულტურების თესვის გეგმის შესრულება % -ობით	მ. შ. საკვები კულტურები			
		ნათესი ბალახები			სასილოს კულტურები
		მრავალწლიანი	ერთწლიანი	საკვები ძირხვნები	
ახალქალაქის	28,1	4,1	16,8	3,4	0
ბოგდანოვკის	26,2	0	17,0	0	0
ახალციხის	57,5	31,3	75,0	21,7	3,1
ადიგენის	43,5	16,0	2,0	8,9	0
ასპინძის	61,5	26,8	140,0	27,7	45,4
ხაშურის	67,2	16,3	55,0	81,4	75,3
ქარელის	82,6	24,0	41,0	93,6	72,3
გორის	90,8	132,5	106,2	98,3	97,4
კასპის	92,4	52,0	113,4	103,6	99,8
ბორჯომის	15,3	12,0	—	2,0	0
წალკის	55,1	23,0	20,7	11,8	3,9
დუშეთის	54,5	48,0	26,0	29,6	13,1
თეთრი წყაროს	80,4	49,5	102,7	56,9	70,1
თიანეთის	37,7	15,6	9,0	20,5	3,4
ყაზბეგის	5,5	—	—	—	—
გურჯაანის	87,0	43,2	83,0	101,5	67,0
კაჭრეთის	101,3	99,2	110,5	83,1	94,0
სიღნაღის	95,3	58,0	88,2	68,0	101,6
წითელწყაროს	112,0	115,0	124,3	90,7	135,2
ოქტავის	81,9	50,5	93,8	114,7	62,5
ახმეტის	85,9	17,0	76,8	88,8	59,7
ყვარლის	93,6	41,0	102,9	93,9	81,5
ლაგოდეხის	51,7	44,5	66,6	57,8	32,0
გარეუბნის	88,9	41,0	127,4	102,5	100,2
მცხეთის	89,7	101,0	100,3	100,0	100,0
გარდაბნის	94,2	34,0	107,1	100,0	95,4
მარნეულის	77,7	110,3	63,4	98,0	86,4
ბოლნისის	100,8	61,3	145,7	95,0	85,3
საგარეჯოს	106,9	32,6	147,2	99,2	173,1
დმანისის	77,3	70,0	4,0	53,5	42,3
სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი	42,9	29,4	16,7	46,0	32,5
აბაშის	33,9	36,0	47,4	84,0	83,0
ცხაკაიას	32,8	53,3	62,3	27,1	43,1
გეგეჭკორის	56,5	25,0	41,7	47,5	35,6
ზუგდიდის	39,2	0	6,3	18,8	9,6
ხობის	32,3	—	17,6	18,0	48,5
წალენჯიხის	62,5	0	12,8	0	10,0
ჩხოროწყუს	51,3	0	1,3	4,0	9,6
მახარაძის	41,3	58,0	6,8	48,6	2,5
ლანჩხუთის	42,3	40,0	27,1	32,7	14,5
ჩოხატაურის	35,4	0	13,2	10,0	13,0
ფოთის	42,6	—	25,0	100,0	75,0
ქუთაისის	81,1	73,3	62,5	68,7	56,0
წყალტუბოს	67,9	35,5	35,8	60,0	42,8
სამტრედიის	44,9	76,0	27,2	42,9	38,2
წულუკიძის	60,6	64,0	20,3	80,0	26,3
ვანის	62,0	128,6	21,7	80,0	44,5
მაიაკოვსკის	31,0	50,0	48,7	67,1	14,5
ზესტაფონის	67,7	80,0	70,0	70,6	73,3
თერჯოლის	66,4	70,0	62,5	130,0	57,2
ჭიათურის	48,3	6,7	26,7	0	9,2
საჩხერის	42,9	28,0	18,4	1,2	5,5
ორჯონიკიძის	40,3	26,0	8,5	8,0	15,0
ტყიბულის	63,9	30,0	11,0	31,1	11,6
ონის	20,0	0	—	0	0
ამბროლაურის	23,6	38,0	—	4,0	0
ცაგერის	26,2	20,0	—	6,0	0
ლენტეხის	15,1	—	—	0	0
მესტიის	44,1	—	—	—	0
ქლუხორის	53,5	—	—	0	—
აფხაზეთის ასსრ	10,5	32,0	6,4	9,7	0
აჭარის ასსრ	41,8	19,6	29,0	30,0	15,3
სულ რესპუბლიკაში	55,0	39,8	53,1	56,9	52,8

სოფლის მთელი ძალები მოსავლიანობის გაღიდებისა და მეცხოველეობის პროდუქციულობის ამაღლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

★ ★ ★ ★ ★

ახლებურად, საქმის ცოდნით ვუხელმძღვანელოთ მეცხოველეობას

თვალი ფერმის მისადგომებთანვე შეამჩნევს გზის ორივე მხარეს გაფანტულ ნაკელს, თვით ფერმის ეზოში კი საშინელი სიბინძურეა გამეფებული. იფიქრებთ, იქნებ პირუტყვის სადგომებში მაინც კარგი მდგომარეობაა და ამ რწმენით შედიხართ რამდენიმე წლის წინათ აგებულ დიდ, კულტურულ ბინაში. მაგრამ აქაც გაოცებთ უწესრიგობა. ბინაში დაცული არ არის წარმოების ელემენტარული კულტურა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ყველა ჯგუფი ერთად არის შერეული, ნაწილი დაუბამთ, ნაწილისათვის კი ყელზე მავთულები შეუბამთ და იმით დაუმაგრებიათ საკვებურებთან. სისველეში და უქვეშსაფენოდ მოუთავსებიათ ახალმოგებული ხბოები.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმას ყველა საშუალება აქვს მოაწყოს არა მარტო საკვების შემზადების მექანიზაცია, არამედ მეცხოველეობის სხვა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციაც, მაგრამ მის პატრონს — ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას ეს ნაკლებად აწუხებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2-3 წლის წინათ შეძენილი საკვების დასაორთქლებელი მანქანა, რაც კოლმეურნეობას რამდენიმე ათასი მანეთი დაუჯდა, ცის ქვეშ დგას და იჟანგება, რადგან მისი სამონტაჟო სამუშაოები გაუძნელდათ. ყველა ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ პირუტყვი დაუძლურებულია, ჯიშიანი ცხოველები გადაშენების გზაზეა დამდგარი — შვიცის ჯიშის თვითეული ძროხა 18-20 ლიტრის ნაცვლად დღეში 4-5 ლიტრ რძეს ძლივს იძლევა.

ყოველი საქმის წარმატებას წყვეტენ კადრები, თავის სპეციალობას დაუფლებული ადამიანები. მაგრამ ასეთი ადამიანები შერჩეული არა ჰყავს კოლმეურნეობას. მწყემსების უმეტესობა შემთხვევითი პირები და სხვა რაიონებიდან მოსული ხალხია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ბაბლიძე, რომელიც პარტიის რაიონული კომიტეტის წევრია, სისტემატურად არ ასრულებს საკოლმეურნეო წარმოებაში პროგრესულ ღონისძიებათა დანერგვის გეგმებს, ურჩობს, არ იღებს სპეციალისტთა მითითებებს.

ნაკლებად არიან დაინტერესებულნი მეცხოველეობის განვითარებით ქვემო ხვედურეთის, ტყემლოვანის, სანებლისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, სადაც ცუდი კვებისა და არასწორი მოვლა-პატრონობის შედეგად პირუტყვმა ძლივს გამოიზამთრა.

ქარელის რაიონში სამი მძლავრი მტს-ია. მათს შტატში, აგრონომთა გარდა, მრავალი ზოოტექნიკოსი და ვეტერინარი მუშაკია ჩარიცხული. თუ ამას დავუმატებთ კოლმეურნეობებში მომუშავე სპეციალისტებს, ეს ძალა სრულიად საკმარისი იქნება მეცხოველეობის ფერმების კომპლექსური მომსახურებისათვის. მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში არა ჩანს სპეციალისტთა მოღვაწეობის კვალი. მტს-ების დირექტორებმა ვ. ღოღობერიძემ, ა. ბარბაქაძემ და დ. ტიტვინიძემ აქამდე ვერ მოახერხეს მუშაობის გარდაქმნა ახალი პირობების შესაბამისად.

ქარელის რაიონს, რომლის ეკონომიკაში მარცვლეულს მეურნეობას, მეჭარხლეობასა და მებაღეობას წამყვანი ადგილი უკავია, ყველა საშუალება აქვს წარმატებები მოიპოვოს მეცხოველეობაშიც. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ამ მიმართულებით მთელ რიგ კოლმეურნეობებში ერთგვარი ძვრები მოხდა. ახლა შედარებით მეტია მეცხოველეობის საქმით დაინტერესება, უფრო კვალიფიციური გახდა მისადმი ხელმძღვანელობა. ამის შედეგად ბევრგან (ლეთეთი, ქვენატკოცა, დირბი, არადეთი და სხვ) გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა-პატრონობა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთისამად გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმების საქონლიანობა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგან მეცხოველეობა კვლავ თავმინებებულია. უფრო მეტი. მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პირუტყვის სულადობის საგრძნობ შემცირებასაც აქვს ადგილი, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოზამთრების ცუდ ორგანიზაციაზე ლაპარაკობს.

როგორც ცნობილია, მეცხოველეობის საქმის წინწაწევა შეუძლებელია მტკიცე საკვები ბაზის შეუქმნელად. ამაში არც რაიონში ეპარებათ ეჭვი, რადგან ამაზე ხშირად მსჯელობენ პარტიის რაიკომის პლენუმებზე, თათბირებზე, რაიკომის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე, გამოაქვთ დადგენილებანი, მაგრამ საკვები ბაზა კვლავ ჩამორჩება მეცხოველეობის განვითარების ტემპებს. ეს გარემოება კი იმით არის გამოწვეული, რომ არ იღებენ გადამჭრელ ზომებს საკვებ კულტურათა წარმოების გასაადიდებლად, არ სრულდება ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმები.

ცხოვრება მოითხოვს, რომ პარტიის ქარელის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა, რაიონის კოლმეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელებმა ყოველდღიურად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ სოფლის მეურნეობის ყველაზე რთულ დარგს — მეცხოველეობას, საბოლოოდ გამოიყვანონ იგი ჩამორჩენიდან და გადააქციონ მაღალშემოსავლიან, მაღალპროდუქტიულ დარგად.

გ. ზუკაკიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ერთი კოლმეურნეობის კომუნისტები

მებოსტნეობა და მეხილეობა სოფელ ყვიბისის კოლმეურნეობის (ბორჯომის რაიონი) შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამიტომ არის, რომ კოლმეურხეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობენ მეურნეობის ამ დარგების განვითარებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად კოლმეურნეებმა იკისრეს შარშანდელთან შედარებით წელს გაცილებით მეტი საადრეო ბოსტნეული მოიყვანონ.

ამ ვალდებულების შესასრულებლად კოლმეურნეობის მებაღეობისა და მებოსტნეობის ბრიგადებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საადრეო ბოსტნეულისა და ხილის უხვი მოსავლისათვის. მოსავლიანობის გადიდებისთვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი დ. ჩადუნელი). დროულად იქნა დაკომპლექტებული მებოსტნეობის და მებაღეობის ბრიგადები. დაკომპლექტებისას ყურადღება მიექცა ბრიგადებში კომუნისტებისა და კომკავშირელების სწორად განაწილებას. ყველა მათგანი სანმუშოდ მუშაობს. ყველგან წვდება კომუნისტების მახვილი თვალი. კომუნისტებმა შეამჩნიეს, რომ მებოსტნეობის ბრიგადაში სათანადო სიმაღლეზე არ იდგა სასათბურე მეურნეობა, შეკეთებას მოითხოვდა 42 და ახლად დასამზადებელი იყო 12 ჩარჩო, ჭიანურდებოდა ნაკვეთებში ორგანული სასუქების გატანა, სათბურების მომზადება, ტორფნეშომპალის ქოთნების დასამზადებელი მანქანის შეძენა და სხვ. კომუნისტების დ. ჩადუნელის, გ. ციქარიშვილის მოთხოვნით პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა მებოსტნეობის ბრიგადაში კვალსათბურების მომზადების საკითხი. კომუნისტებმა მეტად საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს გამომჭღავნებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. პარტიულმა კრებამ მებოსტნეობის ბრიგადის ბრიგადირს კომუნისტს გ. გელაშვილს კოლმეურნეობის აგრონომ დ. თხელიძესთან ერთად დაავალა საადრეო ბოსტნეულის მისაღებად დროულად მოემზადებინათ კვალსათბურები და სასწრაფოდ დაეწყოთ ტორფნეშომპალის ქოთნების დამზადება.

გაჩაღდა ბრძოლა კრების მიერ მიღებული დადგენილების შესრულებისათვის, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პარტბიუორო. ხეხილის ბაღისათვის, რომელსაც 21 ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია, შეიძინეს სპეციალური შესაწამლი მანქანები და შხამსაცხები, დაიწყო ბაღების საგაზაფხულო დამუშავება, დამზადდა და შეკეთდა 100 ცალამდე სასათბურე ჩარჩო, ხოლო 50 ჩარჩოში უკვე დათესილია კომბოსტოსა და ხახვის თესლი, 50 ჩარჩოში მიმდინარეობს ჩათესვა. გარდა ამისა, სხვა კულტურების დასათესად მომზადდა და დაითესა 70 ღია კვალსათბური. 500 ნეშომპალის ქოთანში ჩათესილია კიტრი, ნესვი და საზამთრო.

ტორფნეშომპალის ქოთნებს ახლად შეძენილი სპეციალური მანქანით ამზადებენ. ქოთნების დამზადებაში დახელოვნდნენ ამ კოლმეურნეობის კომკავშირელები ზ. გელაშვილი, ე. გვარამაძე, ბ. გელაშვილი და სხვები. კომკავშირის კომიტეტმა შექმნა მებოსტნეობის ახალგაზრდულ-კომკავშირული რგოლი, რომელმაც ვალდებულება იკისრა მოიყვანოს ბოსტნეულის უხვი მოსავალი.

ყვიბისელი კომუნისტები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ბოსტნეულისა და ხილის უხვი მოსავლის მისაღებად.

შ. აბრამაშვილი,
საქართველოს კ. პ. ბორჯომის რაიკომის ინსტრუქტორი.

კოლმეურნეობა „განთიადი“ სიუხვის გზაზე

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 1954 წლის კანდიდატები

გაზაფხულის დღეებში ბაღში მიწის ზედაპირის შემობარვისთანავე, გაფხვიერების წინ შეაქვთ სულფატამონიუმის სასუქი ჰექტარზე 250 კილოგრამი და თანაბრად ანაწილებენ ფარობზე. აზოტით გამოკვებას იმეორებენ ივლისის პირველ რიცხვებში. გაზაფხულზე კვირტების დაბერვის პერიოდში მავნებლების წინააღმდეგ ორჯერ აწყობენ ხეების დაბერტყვას,

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 1954 წლის კანდიდატი გორის რაიონის ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ აგრონომი ი. ციციშვილი ამოწმებს ხეხილის ბაღში ვაშლის მსხმოიარობას.
ფოტო შ. კუკულავასი.

ლად კვირტების სრული დაბერვისას, მეორედ კი ყვავილობის დამთავრებისთანავე. საფეზზე ჩამობერტყილ მავნებლებს მაშინვე შეაგროვებენ და სპობენ. ამის შემდეგ სხვადასხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ ახდენენ კომბინირებული ნაზავით შესხურებას. ეს სამუშაო სრულდება გაზაფხულსა და ზაფხულში ოთხჯერ.

თვალწარმტაცია შემოდგომა ხელთუბნელთა ხეხილის ბაღებში. სასიამოვნო სანახავია სიმწიფეში შესული ვაშლით, ატმით დახუნძლული ხეები.

კოლმეურნეები ხილის კრეფისათვის წინასწარ გულდასმით ემზადებიან. კრეფის დროს ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ხეზე არ დაიმტვრეს სახაყოფე ტოტები, ვინაიდან ეს გამოიწვევს მომავალი მოსავლის შემცირებას, ხილის კრეფას იწყებენ ქვეითა ტოტებიდან და თანდათან გადადიან ზევითა ტოტებზე. კრეფენ ყუნწით. მოკრეფილ ხილს მაშინვე გზავნიან დასახარისხებლად და შემდეგ ინახავენ საწყობში.

— ბევრი ღონისძიება განვახორციელეთ, — ამბობს ბრიგადირი ვ. კობლიაშვილი, — ხილის მოსავლიანობის გასაადიდებლად. ზუსტად დავიცავით ხეხილის ბაღის მოვლის აგროწესები. ჩვენს ბრიგადაში ყველა მოწინავეა. წელს ბრიგადის სახელით პირობას ვიძლევი, რომ საშუალოდ ჰექტარზე 200 ცენტნერ ვაშლს მივიღებთ.

ამ ბრიგადაში მიღწეულია ხილის უხვი მოსავლის ყოველწლიურად მოყვანა. აქაურმა მეხილეებმა კარგად იციან, რომ ვაშლის ხეზე რაც უფრო მეტია ერთწლიანი ყლორტები, რომლებიც დაფარულია მხოლოდ საფოთლე კვირტებით, მით უფრო მეტი იქნება ფოთლები, ხოლო სანაყოფე კვირტები — ნაკლები. უკეთესია, როცა ხეზე ფოთლების რაოდენობა დიდია. ხელთუბნელთა ბაღებში სწორედ ეს არის შესამჩნევი. აქ ერთ ნაყოფზე დაახლოებით 50-75 ცალი ფოთოლია.

ხელთუბანში პრაქტიკული დაკვირვებით დარწმუნდნენ, რომ ცუდი მოვლის დროს მოსავლიან წელს ხეზეა ბევრი ყვავილი, ნაზარდები მოკლე, ფოთლები ცოტა. ამ შემთხვევაში ხე საკვებ ნივთიერებებს იძულებით ხარჯავს. ეს იწვევს იმას, რომ საერთოდ ნაყოფი პატარაა და ამავე დროს, ხეს არ აძლევს საშუალებას ივნის-ივლისში ჩასახოს ახალი საყვავილე კვირტები შემდგომი წლის მოსავლისათვის. ამის გამო ხე ერთი წლის განმავლობაში ნაყოფს არ იძლევა.

ამიტომ ხელთუბანში წესად აქვთ შემოღებული ხეების სწორი კვება, აგროწესების დაცვით დროზე გასხვლა. ეს ღონისძიებანი ქმნიან რაოდენობით და სიგრძით საკმარის ყოველწლიურ ნაზარდებს, ესენი კი ხეებზე იწვევენ ყვავილისა და ფოთლების ყლორტების წარმოშობას დაახლოებით თანაბარი რაოდენობით.

ასეთი მუშაობის შედეგად გაიზარდა შრომადღეების ღირებულებაც. გასულ წელს აქაურმა კოლმეურნემ თვითეულ შრომადღეზე მიიღო ნატურით 6,1 კილოგრამი მარცვლეული და 5 მანეთი.

შესამჩნევად აძაღლდა კოლმეურნეთა კულტურული დონე. სოფელში არის საკოლმეურნეო კლუბი, ხშირად უჩვენებენ კინოსურათებს. ამ კოლმეურნეობიდან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს ათობით სტუდენტი. აქვთ 8-წლიანი სკოლა, საბავშვო ბაღა, საექიმო პუნქტი; რაც მთავარია, სოფელს ჰყავს მოწინავე ადამიანები. ახალი, სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს ხელთუბანში. ეს ბედნიერება კოლმეურნეებმა საკოლმეურნეო შრომით მოიპოვეს. კოლმეურნეები ხარობენ თავიანთი ნაამაგარით, ამ სიხარულის წყაროს ისინი ხედავენ მექანიზატორებთან მტკიცე მეგობრობაში.

* * *

კოლმეურნეობაში დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის შესახებ. ხელთუბნელებმა ვალდებულება იკისრეს ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ სულ მცირე 22 ცენტნერი, ხოლო სარწყავზე — 34 ცენტნერი ხორბალი, სიმინდის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე აიყვანონ 35 ცენტნერამდე, შაქრის ჭარხლისა — 500 ცენტნერამდე, კომბოსტოსი — 400 ცენტნერამდე, ხოლო ხილის მოსავალი თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 70 ცენტნერი. ასევე ერთიორად გაადიდონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის როგორც სულადობა, ისე მისი პროდუქტიულობა.

კოლმეურნეებმა ახალი ენთუზიაზმით დაიწყეს ბრძოლა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლისათვის, მექანიზატორებთან მტკიცე მეგობრობით რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრეს ხეხილის ბაღებში საზამთრო სამუშაოები.

ახლა კოლმეურნეობას ახალსოფლის მანქანა-ტრაქტორთა სადგური უწევს მომსახურებას. აქ ხეხილის წამლობა ტრაქტორზე მიბმული სასხურებელი აპარატით ხდება.

ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადი“ წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენაა ხელთუბნელთა ცხოვრებაში. გამოფენაზე კოლმეურნეობა წარდგენილია მეხილეობის დარგში ფართო ჩვენებით. ამ კოლმეურნეობიდან გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე აგრონომი ალექსანდრე შარაშიძე, აგრონომი ილარიონ ციციშვილი, საცდელი ნაკვეთის ხელმძღვანელი აგრონომი მამანტი ჭირიქაძე და მეხილეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ვასილ კობლიაშვილი.

ეს საპატიო უფლება ხელთუბნელ კოლმეურნეებს აღაფრთოვანებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა: დღეს უკეთესად იმუშაონ, ვიდრე გუშინ, ხვალ კიდევ უკეთესად!

დიდი ბედნიერებაა, აყვავებული სოფლის დოვლათისა და მიღწევების ფართო მაჩვენებლებით მიდიოდე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ეს ბედნიერება ხელთუბნელმა კოლმეურნეებმა საკოლმეურნეო შრომით მოიპოვეს. ამ საამურ ცხოვრებას ისინი უმადლიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას.

ნ. ჯანჯღავა,
შ. ჭოჭუა.

გამოფენისთვის მზად იყოს ყველა საბჭოთა სოფელი! კრემლის მაღლობა მიიღოს მშრომელთა დამატკბობელი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 1954 წლის კანდიდატები. გორის რაიონის ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარე ა. შარაშიძე და საცდელი ნაკვეთის აგრონომი მ. ჭირიქაძე ამოწმებენ ახალსოფლის მტს-ის მიერ ახალი სიხტემის სარწყავი არხის გაყვანილობას.
ფოტო შ. კუკულავასი.

საუკეთესოდ მოვუაროთ ნათესებს

გარეუბნის რაიონის დიდმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ფართოდ არის გაჩაღებული საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ჯერ კიდევ ზამთარში დიდმელმა კოლმეურნეებმა გულდასმით მომამზადეს საგაზაფხულო კულტურების სათესლე მასალა, მინდვრად გაზიდეს 3.000 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი, აგრეთვე მინერალური სასუქები.

კოლმეურნეობაში დროულად დაამთავრეს კარტოფილის, მზესუმზირას და სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა. წელს აქ პირველად გამოიყენეს კვადრატულ-ბუდობრივი წესით სათესი მანქანა, რომლითაც კოლმეურნეები დიდად კმაყოფილი დარჩნენ. დროზე მოამზადეს შესაწამლი აპარატები სასოფლო-სამეურნეო მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად. წესრიგზე მოყვანილია სარწყავი ქსელი. ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს ხორბლისა და მრავალწლიანი ბალახების მარგვლა სარეველა ბალახებისაგან და ნათესების გამოკვება. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მემინდვრეობის ის ბრიგადა, რომელსაც ვ. გოგიშვილი ხელმძღვანელობს. კარგად მოვლილია კოლმეურნეობის ბაღ-ვენახები; ხეხილის გასხვლა დროზე დაამთავრეს და შეწამლეს ზეთოვანი ემულსიით. წარმატებით მოაწყეს ვენახების გადაბარვა და ვაზის შესარგა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად დიდმის კოლმეურნეობაშიც ახლებურად დაისვა ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საკითხი. ამ კულტურების სათესი ფართობი წელს შარშანდელთან შედარებით 82 ჰექტარით გადიდდა. ნაადრევი კიტრი და პამიდორი გამოჰყავთ კვალსათბურებში, რომელთა რიცხვი გასულ წელთან შედარებით ოთხჯერ გაიზარდა.

ბოსტნეულ კულტურათა ჩითილების გამოსაყვანად კოლმეურნეობაში ფართოდ დაინერგა ტორფნეშომპალის ქოთნების წარმოება, რასაც კოლმეურნეები სწრაფად დაეუფლნენ. დამზადებული აქვთ 450 ათასზე მეტი ასეთი ქოთანი. ქოთნებში უკვე გამოიყვანეს პამიდორის ჩითილი და ახლა წარმოებს მისი გადარგვა. სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდის მებოსტნეობის მერვე ბრიგადა (ბრიგადირი ლ. გენებაშვილი), რომლის წევრები მ. გიგუაშვილი, ნ. ბროლაძე ყოველდღიურ გეგმებს ორმაგად ასრულებენ. ამ ბრიგადას პირველობაში ეცილება მეშვიდე ბრიგადა (ბრიგადირი ს. ჩოფიკაშვილი). კარგად მუშაობს კომკავშირელი ახალგაზრდობისაგან შემდგარი მებოსტნეობის ბრიგადა შ. გიგუაშვილის ხელმძღვანელობით. დიდმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ძალებით კოლმეურნეობაში სრულდება ძირითადი სამუშაოები. გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე მინდვრებში გავიდა მტს-ის მოწინავე სატრაქტორო ბრიგადა ნ. ზოზიაშვილის ხელმძღვანელობით. მექანიზატორები ვ. ჯანკვეტაძე, ა. სირბილაძე დიდი შრომითი ენთუზიაზმით მონაწილეობენ საგაზაფხულო სამუშაოებში. ისინი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებებს და ამასთან ზრუნავენ საწვავი მასალის ეკონომიაზე. მტს-იდან კვადრატულ-ბუდობრივად სათეს მანქანაზე მიმაგრებულია ტრაქტორისტი ბ. ჯოხაძე, რომელიც ენერგიულად იბრძვის ახალი მანქანის მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, აქ არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბ. დოლიძის გულახდილი აღიარებით საგაზეთაციო საუბრები მინდვრებში რეგულარულად არ ეწყობა. სამწუხაროა, რომ ამ საქმისაგან განზე დგას საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ს. გეგელაშვილი). ნათესების მოვლის ცხარე დღეები დადგა. ამოცანა ის არის, რომ მთელი საგაზეთაციო მუშაობა დავუკავშიროთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში მოწყობას.

ცნობილია, რომ დიდმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას მშვენივრად მოწყობილი მეცხოველეობის მექანიზებული ფერმა აქვს, რომლის მუშაობის გამოცდილებას მრავალი კოლმეურნე გაეცნო და ეცნობა.

ამ კოლმეურნეობას უდიდესი რეზერვები მოეპოვება აგრეთვე ბოსტნეულის, სიმინდის და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. კოლმეურნეობის გამგეობის, პარტიული ორგანიზაციის, ყველა კოლმეურნის ღირსებისა და სახელის საქმეა ახალ წარმატებებს მიაღწიონ მოსავლიანობის გადიდებაში, დროულად და მაღალხარისხოვნად დაამთავრონ ყველა საგაზაფხულო სამუშაო და საუკეთესოდ მოუაროს ნათესებს.

შ. არაბული,
გ. ბესტაევი.

წარჩინებული მეცხოველე

ახალქალაქი, (სპეც. კორ.). სამამულო ომის ინვალიდი ზ. ალელიშვილი 1941 წლამდე წარმატებით ხელმძღვანელობდა სოფელ ოკამის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადას. საბჭოთა არმიიდან დაბრუნების შემდეგ მას მეცხენეობის ფერმის ხელმძღვანელობა დაავალეს.

პირველად უცხო იყო მისთვის მეცხენეობა, მაგრამ ენერგიული მუშაობით შეისწავლა და შეიყვარა ეს საქმე. მალე მან მაღალი მაჩვენებლებით მთელს რაიონში გაითქვა სახელი. 7 წელია, რაც იგი მთლიანად და გადამეტებით ასრულებს როგორც ცხენების სულადობის განვითარების, ისე კვიცების გამოზრდის გეგმებს. შარშან კვიცების გამოზრდის დავალება 130 პროცენტით გაანაღდა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფერმაში ცხენებისა და კვიცების სიკვდილიანობის არც ერთი შემთხვევა არ ჰქონიათ.

კარგი მუშაობისათვის მოწინავე მეცხოველეს მრავალი ჯილდო და მადლობა დაუმსახურებია. გასულ წელს მარტო შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით მიიღო 750 მანეთი ფულად, აგრეთვე მარცვლეული და სხვა პროდუქტები.

იბრძვის რა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის, ამხ. ზ. ალელიშვილმა ვალდებულება იკისრა წელს თვითეულ ფაშატზე მიიღოს თითო კვიცი.

მხოლოდ მწვანე ჯეჯილი გიბინეგდეს ველად. სარეველა მტერია! მოსპე სარეველა!

დგას ნანატრი გაზაფხული, არ აპირებს დიდხანს მოცდას. ნაყოფს მისცემს მიწა ხნული, ვინც მიხედა გალჩა-ბოსტანს.

საკლესიო ცნობა

პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა უ. ჩერჩილმა კონსერვატიული პარტიის ორგანიზაციის „პრიმროზ-ლიგის“ ყოველწლიურ კრებაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა გაუმჯობესდეს ინგლისის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და დამყარდეს კეთილმოსურნეობით აღსავსე კავშირურთიერთობა.

როგორც საკლესიასათვის ცნობილი გახდა, ინგლისის პრემიერ-მინისტრის ამ გამოსვლამ დადებითი გამოხმაურება გამოიწვია საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში. ამასთან დაკავშირებით ყურადღება ექცევა იმას, რომ საბჭოთა მთავრობა. გახუხრელად ესწრაფვის გაუმჯობესოს ურთიერთობა და განავითაროს თანამშრომლობა ყველა ქვეყანასთან, რომელიც კი თავის მხრივ გამოიჩენს ამისათვის მზადყოფნას. ხელმძღვანელ საბჭოთა წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესება და თანამშრომლობის განვითარება სასარგებლო იქნებოდა არა მარტო ამ ორი სახელმწიფოსათვის, არამედ აგრეთვე ყველა სხვა ქვეყნისათვის, რომელიც კი დაინტერესებულია საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით, უწინარეს ყოვლისა სასარგებლო იქნებოდა ევროპის ქვეყნებისათვის.

იმის საჭიროებას, რომ გაფართოვდეს თანამშრომლობა და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური კავშირურთიერთობა თუნდაც იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ სისტემებს ეკუთვნიან, აღიარებს და მხარს უჭერს მსოფლიოს მეტი წილი ქვეყნების სულ მეტი და მეტი სახელმწიფო მოღვაწე.

პოლიტიკის ასეთ კურსს საერთაშორისო საქმეებში არ იზიარებენ და მტრულად ეკიდებიან მხოლოდ ის მმართველი წრეები ცალკეულ ქვეყნებში, რომლებიც აგრესიულ მიზნებს ისახავენ და თავიანთ ვიწრო ეგოისტურ ინტერესებს მშვიდობისა და კაცობრიობის კეთილდღეობის ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებენ.

გაზეთების ფურცლებზე

საქართველოს გუმბრინი

მათეთრებელი თიხა, რომელსაც ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობაში, ძველად ჩვენს ქვეყანაში უცხოეთიდან შემოჰქონდათ. საბჭოთა კავშირის ნავთობსახდელ ქარხნებში ჩატარებულმა მრავალმა ცდამ გვიჩვენა, რომ ამერიკულ ფლორიდინს ბევრად სჯობს მათეთრებელი თიხა, რომელიც აღმოჩენილ იქნა წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმბრში და გუმბრინად იქნა წოდებული ჯერ კიდევ 1916 წელს.

მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში მიექცა სათანადო ყურადღება ამ მნიშვნელოვან აღმოჩენას. გუმბრინის წარმოებას საფუძველი ჩაეყარა პირველ ხუთწლედში. თავდაპირველად გუმბრინის საბადოს ექსპლოატაცია ღია წესით წარმოებდა, ხოლო შემდეგ დაიწყო მიწისქვეშა სამუშაოები.

საქართველოს გუმბრინის მთავარი მომხმარებელია ჩვენი ქვეყნის ნავთობის მრეწველობა. გუმბრინს იყენებენ ცხიმიანი ნივთიერების და ზეთების წარმოებაში, ხოლო გუმბრინის ნარჩენებს ბოლო ხანებში ხმარობენ სოფლის მეურნეობაშიც — ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ყოველწლიურად იზრდება გუმბრინის მოპოვება, წერს რაიონული გაზეთი **„ახალი ყალტუბო“**. 1940 წელს გუმბრინის ამოღება 1932 წელთან შედარებით ათჯერ გაიზარდა. ამჟამად კი გუმბრინს იღებენ გაცილებით მეტს, ვიდრე 1940 წელს. ამას დიდად შეუწყო ხელი წარმოებაში უახლესი ტექნიკის დანერგვამ, შრომატევადი პროცესების მექანიზაციამ. ბევრი წარჩინებული მაღაროელი — მბურღავები, ამფეთქებლები, მებიგეები, მტვირთავი-გამგორებლები, ზეინკლები — ჰყავს საქართველოს გუმბრინის წარმოებას.

სულ უფრო იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება გუმბრინის მაღაროელთა დაბა. საერთო საცხოვრებლების გვერდით ჩამწკრივებულია მუშათა ლამაზი საცხოვრებელი სახლები. დაბაში არის სკოლა, საექიმო პუნქტი, აფთიაქი, კლუბი, სპორტული ბაღი და ბაგა.

წერილი ბულგარეთიდან

ამას წინათ ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზაციის სახელზე მოვიდა წერილი ბულგარეთიდან. იწერებოდა ქალაქ ვლინგრადის სატყეო ტექნიკუმის მოსწავლე ზდრავკა პეტევა. გამოთქვამდა რა ბორჯომელ თანატოლ მოსწავლეებთან ბულგარელი მოსწავლეების მიერ წერილობითი კავშირის დამყარების სურვილს, ზ. პეტევა სთხოვდა მათ მიეწერათ ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის ცხოვრებისა და მოსწავლეთა საქმიანობის შესახებ.

ბულგარეთიდან მიღებულმა წერილმა ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის ყველა მოსწავლის, ყველა კომკავშირელის დიდი სიხარული და კმაყოფილება გამოიწვია. მათ პასუხიც არ დააგვიანეს. როგორც ბორჯომის რაიონული გაზეთი **„კომუნიზმის დროშით“** იუწყება, ბორჯომელმა მოსწავლეებმა ზდრავკა პეტევას აცნობეს, რომ ერთხმად გადაწყვიტეს წერილობითი ურთიერთობის დამყარება ბულგარელ მოსწავლეებთან. ბორჯომელებმა წერილით მოკლედ უამბეს თავიანთი ქალაქის შესახებ და ბორჯომის უკეთ გაცნობის მიზნით ვლინგრადის მოსწავლეებს საჩუქრად გაუგზავნეს ნ. ყიფშიძის წიგნის „ბორჯომი და მისი ხეობა“ რუსული გამოცემა. ბორჯომელი მოსწავლეები ემზადებიან ტექნიკუმის არსებობის 25 წლისთავისათვის, ისინი შეპირდნენ თავიანთ ბულგარელ მეგობრებს, რომ გაუგზავნიან ტექნიკუმის ცხოვრების ამსახველ ფოტოალბომს.

მხატვრული კულტურის საუნჯე





საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ახალი ექსპონატები: ვასნეცოვის ცნობილი სურათის „რაინდი გზაჯვარედინზე“ პირველი ვარიანტი (ზემოთ); ქალის თავის გამოსახულება (მარმარილო I ს. რომაული ხელოვნება) და აპულიის კრატერი მჯდომარე მანდილოსნისა და მხედრის გამოსახულებით.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მეორე წელია არსებობს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მხატვრული ფონდების მუდმივი ექსპოზიცია. ეს სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება მოწოდებულია მშრომელთა ფართო მასებში გასწიოს მხატვრული კულტურის პროპაგანდა, გააცნოს მათ საბჭოთა ხელოვნების მიღწევები, გამოამზეუროს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მხატვრული მემკვიდრეობა. მუზეუმის ექსპოზიცია მიზნად ისახავს გამოავლინოს ქართული მხატვრული კულტურის დამოუკიდებელი სახე. მისი შინაგანი ძალა სწორედ იმით გამოიხატებოდა, რომ უცხო ქვეყნების მიღწევები მხატვრული კულტურის დარგში აითვისა და გარდაქმნა საკუთარი ტრადიციის მიხედვით, მისცა მათ ეროვნული სახე, გაამდიდრა ქართული კულტურის შინაარსი, მიანიჭა მას მსოფლიო მნიშვნელობა.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი 1934 წელს დაარსდა. მიუხედავად ამისა, მუზეუმის მხატვრული ფონდების სიმდიდრე, მათი მხატვრულ-ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობა აყენებს მას საბჭოთა კავშირის მოწინავე მუზეუმთა რიგში. მუზეუმის ზოგიერთი კოლექცია უნიკალურია, განსაკუთრებით ძველი ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები და ტიხრული მინაქრები.

საბჭოთა პერიოდის ხელოვნებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მუზეუმის ექსპოზიციაში. ქართველი ოსტატების მიერ შექმნილი არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ამშვენებს მუზეუმის გამოფენას. ყველაზე დიდი დარბაზი უკავია თემატიკურ გამოფენას — დიდი ბელადები ლენინი და სტალინი სახვითს ხელოვნებაში. ხელოვნების განყოფილება სისტემატურად იზრდება და ფართოვდება, ქართველი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენებიდან საუკეთესო ნიმუშები ყოველწლიურად გადაეცემა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

ხელოვნების მუზეუმის ძირითად ფონდს შეადგენს საქართველოს ეროვნული გალერეის, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმისა და უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის კოლექციები. იმ დიდი მზრუნველობის შედეგად, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი ხალხის ძველი მხატვრული მემკვიდრეობისადმი, ხელოვნების მუზეუმს 1945 წელს გადმოეცა სამუზეუმო განძეულობა, რომელიც საქართველოდან გატაცებული იყო მენშევიკების მიერ. საქართველოს მუზეუმებს დაუბრუნდა ის ისტორიული და მხატვრული ფონდებიც, რომლებიც საქართველოდან გაზიდულ იქნა მეფის მთავრობის მიერ. ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის და შემდეგ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს განკარგულებით მოსკოვისა და ლენინგრადს მუზეუმების ფონდებიდან საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა რუსეთის ხელოვნების, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ქვეყნების სახვითი ხელოვნების უძვირფასესი კოლექციები.

ამ ღონისძიებათა შედეგად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი ამჟამად საკავშირო მნიშვნელობის ხელოვნების მუზეუმია. მუზეუმის ხუთი განყოფილების მუდმივი გამოფენა სავსებით ვერ ამოწურავს მისი მხატვრული ფონდის სიმდიდრეს. ხელოვნების მუზეუმის მხატვრული ფონდების გაშლა და გამოფენა მოითხოვს არსებული საგამოფენო ფართობის ერთიორად გაზრდას.

მუზეუმი იზიდავს მშრომელთა ფართო მასებს, მოსწავლე ახალგაზრდობას, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს. ერთი წლის განმავლობაში მუზეუმი დაათვალიერა 123.687 კაცმა. მუზეუმის მუშაკები მომსახურებას უწევს მხახველებს, ეწევა ხელოვნების პროპაგანდას, დროულად აწვდის მასალებს მეცნიერ მუშაკებს და ხელოვნების მოღვაწეებს, აწარმოებს კვლევითს მუშაობას, ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ყოველდღიურად ზრუნავს იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ასამაღლებლად.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა, რომელიც გამოიჩინეს მუზეუმისადმი პარტიამ და მთავრობამ. გასული წლის ნოემბერში მუზეუმს სახელმწიფო ერმიტაჟის ფონდებიდან გადმოეცა შემდეგი კოლექციები: სურათები: „ნიმფა და პანი“ — მე-17 საუკუნის იტალიური მხატვრობა, „ბავშვებისადმი სიყვარული“ — ბოლონიის სკოლის იტალიელი მხატვარი, „გალატეას ტრიუმფი“ — მე-17 საუკუნის იტალიელი მხატვარი, ჟ. ვერნეს „ნავსადგური“, კეფალოსის „პეიზაჟი“, ლ. რიშოს „პეიზაჟი“ და სხვ.; გობელენები: „ესთერის ნადიმი“ მხატვრის წარწერით და თარიღით — 1760 წ. (ფრანგული ხელობა), გობელენი „ვერდიური“ — მე-18 საუკუნე (ფრანგული ხელობა); გამოჩენილი ევროპელი ოსტატების გრავიურები (სულ 50 ცალი); მათ შორის დიურერის (სამსონი ებრძვის ლომს), პირანეზის, ბარტოლის, როსინის, ჯ. ტესტას, ოტავიანის, ბოლდრინის, ფესორის, ლარმესენის, ტაილორის და სხვ.; ფაიფური და ფაიანსი (სულ 134 ცალი). კოლექციაში წარმოდგენილია ევროპის ქარხნების ყველა მარკა (მე-17-19 საუკუნეები). მაგალითად: სევრი, საქსი, მეისენი, კოპენჰაგენი, ბერლინი, ვენა, შანტილი, ვეჯვუდი და სხვ.; გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (სულ 43 სახელწოდების), მოოქრული ბრინჯაოს კანდელაბრები მე-17-18 საუკუნისა (ფრანგული ხელობა), მე-18 და მე-19 საუკუნის ქანდაკებებით შემკული საათები (ფრანგული ხელოვნება), მე-18 საუკუნის მალაქიტის ვაზა და ა. შ.

ეგვიპტური ხელოვნების ნიმუშები (სულ 44 სახელწოდება); მათ შორის ბრინჯაოს ქანდაკებები — ღვთაებათა გამოსახულებანი.

ანტიკური ... ხელოვნების ნიმუშები (სულ 131 სახელწოდება): ... ბა, მარმარილოს ქანდაკება, ... რი გამოსახულება ნადიმისა ბერძნული წარწერით, რომაული ურნა რელიეფური გამოსახულებით; იონიური ასკი, კორინთული არიბალი, სამოსის ამფორა, ლეკითი სილენისა და ორი მენადის გამოსახულებით, კალიკი შავფიგურიანი გამოსახულებით, კალიკი წითელ ფიგურიანი გამოსახულებით, მეგარის თასი, აპულიის კრატერი მჯდომარე მანდილოსნის და მებრძოლის გამოსახულებით, იტალიური რიტონი (ყანწი) ცხოველის თავის გამოსახულებით, აფროდიტეს ქანდაკება (ტერაკოტა), მანდილოსნის ქანდაკება (ტერაკოტა), ჰეროსი და ვეფხვი, ბრინჯაოს ეტრუსკული სარკე.

ხელოვნების ზემოთ დასახელებული ნიმუშები, რაც მუზეუმმა მიიღო, განაწილებულია სათანადო განყოფილებებში. ეს კოლექციები ავსებენ იმ ხარვეზებს, რომლებიც აქამდე იყო მუზეუმის გამოფენებში, და ამავე დროს საშუალებას იძლევა მუზეუმის გამოფენებში გახსნას ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ანტიკური ხელოვნების განყოფილებანი.

ხელოვნების მუზეუმს დიდი დახმარება გაუწიეს ტრეტიაკოვის გალერიამ და აღმოსავლეთ ქვეყნების კულტურის მუზეუმმა. აღმოსავლეთ ქვეყნების კულტურის მუზეუმმა ჩვენს მუზეუმს გადმოსცა ძველი და ახალი ჩინეთის ხელოვნების ნიმუშები, რომელთაც დიდი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. წელს ტრეტიაკოვის გალერიამ ხელოვნების მუზეუმს გადმოსცა ძველი რუსული დახგური ფერწერის მდიდარი კოლექცია. ამჟამად ხელოვნების მუზეუმს საშუალება აქვს წარმოსახოს ძველი რუსული ხელოვნების განვითარება ყველა სკოლის მიხედვით.

რუსეთის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დახმარების შედეგად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში სრული სახით წარმოდგენილია მე-18 და მე-19 საუკუნეების პირველი ნახევრის რუსული ხელოვნება. მუზეუმის ექსპოზიციაშია გამოჩენილი ოსტატები: ლევიცკი, ბოროვიკოვსკი, ტროპინინი, ბრიულოვი, ბასინი, სილვესტრ შჩედრინი, ზარიანკო, ბოგოლიუბოვი, ლაგორიო, აივაზოვსკი, ვ. მაკოვსკი, კ. მაკოვსკი, მაკაროვი, ვასილიევი, შიშკინი, კრამსკოი, ა. ვასნეცოვი, ვ. ვასნეცოვი, კუინჯი, რეპინი, სურიკოვი და სხვები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ხელოვნება შედარებით უფრო ნაკლებად არის წარმოდგენილი. დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დახმარებით მუზეუმი აღნიშნულ ხარვეზსაც შეავსებს.

დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობით საქართველოს ხელოვნების მუზეუმი გააფართოებს თავისი მუშაობის არეს და უფრო წარმატებით შეასრულებს საპატიო ამოცანას მშრომელთა კულტურული მომსახურების დარგში.

პროფესორი შ. ამირანაშვილი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

საბჭოთა მშენებლობის თემაზე

სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები ახლებურად წარმართავენ მუშაობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, ხოლო შემდეგ თებერვალ-მარტის პლენუმებმა უდიდესი ამოცანები დასახეს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დარგში. ამ ისტორიული დადგენილებებით კიდევ უფრო გაიზარდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. ბუნებრივია, სერიოზული ამოცანები დაისახა საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების წინაშეც. მით უმეტეს, რომ ახლა რაისაბჭოების აღმასკომებთან აღარ არსებობენ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამართველოები.

ახალი ამოცანების შესაბამისად გარდაქმნა მუშაობა ყვარლის რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ. გაუმჯობესდა სასოფლო საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების მუშაობაც.

რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას დეპუტატი ი. მესტვირიშვილი ხელმძღვანელობს. იგი სპეციალობით აგრონომია, და ეს ეხმარება მას უკეთესად ჩასწვდეს კომისიის ამოცანებს. კომისიას, გარდა დეპუტატებისა, თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს აქტივი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებიდან და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებიდან. კომისია სისტემატურად მსჯელობს რაიონის სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებზე და საჭირო შემთხვევაში საკითხი განსახილველად შემოაქვს რაისაბჭოს სესიაზე ან აღმასკომის სხდომაზე, ზოგიერთ შემთხვევაში საკითხის გადაჭრას აღწევს თავისივე წევრებისა და აქტივის საშუალებით.

1954 წლის იანვარში კომისიამ შეისწავლა სოფელ შილდის კოლმეურნეობებში სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების მიმდინარეობა. აღმოჩნდა, რომ ორივე კოლმეურნეობაში იყო სერიოზული ნაკლოვანებები. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. ვერც კოლმეურნეობის გამგეობამ და ვერც ენისლის მტს-მა, რომელიც ამ კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას, ვერ უზრუნველყვეს მუშაობის გარდაქმნა სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად. გასული წლის სამეურნეო მაჩვენებლები გაცილებით დაბალი იყო ამ კოლმეურნეობაში, ვიდრე კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში, მაშინ როცა ორივე კოლმეურნეობის ნიადაგის, ჰავის და სხვა პირობები ერთნაირია. სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ აღნიშნული საკითხი დააყენა რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე. 30 იანვარს რაიონული საბჭოს სესიამ განიხილა შილდის კუიბიშევისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების რაისაბჭოს დეპუტატის ვ. ცისკარიშვილის და შილდის სასოფლო საბჭოს დეპუტატის რ. აღნიაშვილის ანგარიში ამ კოლმეურნეობებში სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სესიაზე თანამოხსენებით გამოვიდა სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ი. მესტვირიშვილი. მან შემოიტანა საყურადღებო წინადადებანი მტს-ის მუშაობის გაუმჯობესებისა და იმ სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორებით და სხვა მანქანებით გაძლიერების შესახებ, რომელიც მომსახურებას უწევს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რაც დაეგზავნა რაიონის ყველა კოლმეურნეობას და მტს-ებს.

სესიის გადაწყვეტილების შემდეგ შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა: დროულად დაამთავრა ვენახების საზამთრო სამუშაოები, ახლა წარმატებით აწარმოებს საგაზაფხულო კულტურების თესვას. გაუმჯობესდა სატრაქტორო ბრიგადის მუშაობაც, განმტკიცდა სატრაქტორო ბრიგადასა და მემინდვრეობის ბრიგადებს შორის კავშირი, აღმოიფხვრა წუნი მუშაობაში.

გარდაიქმნა სასოფლო საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების მუშაობაც. ისინი აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეობათა წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ყვარლის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, რომელსაც დეპუტატი აბრამ ჭიბოშვილი ხელმძღვანელობს. იგი სპეციალობით აგრონომია, და ეს ეხმარება მას უკეთესად ჩასწვდეს კომისიის ამოცანებს. კომისიას, გარდა დეპუტატებისა, თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს აქტივი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებიდან და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებიდან. კომისია სისტემატურად მსჯელობს რაიონის სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებზე და საჭირო შემთხვევაში საკითხი განსახილველად შემოაქვს რაისაბჭოს სესიაზე ან აღმასკომის სხდომაზე, ზოგიერთ შემთხვევაში საკითხის გადაჭრას აღწევს თავისივე წევრებისა და აქტივის საშუალებით.

მუდმივმა კომისიამ იმსჯელა ამ საკითხზე, კომისიის სხდომას კოლმეურნეობის თავმჯდომარე აგრონომი თ. ბუჯიაშვილიც დაესწრო. გადაწყვიტეს მყნობელთა რიცხვის გადიდება, ხელსნების გამოყოფა ყუთების დასამზადებლად. მყნობის საქმის ხელმძღვანელობა თვით კომისიის თავმჯდომარემ ა. ჭიბოშვილმა იკისრა. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გაძლიერდა მყნობის ტემპი, გაუმჯობესდა მისი ხარისხიც. 16 აპრილისათვის კოლმეურნეობა „კუდიგორამ“ რაიონში პირველმა დაამთავრა ვაზის მყნობა. დაამყნეს 150 ათასი ძირი ვაზი.

შილდის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიას დეპუტატი ელიზბარ ჟურულიშვილი ხელმძღვანელობს. იგი სპეციალობით ვეტექიმია. გაჭიანურებული ზამთრის გამო პირუტყვის გამოზამთრებისათვის მძიმე პირობები შეიქმნა კოლმეურნეობებში, საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება. სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ საკითხი დააყენა სასოფლო საბჭოს წინაშე. საბჭოს აღმასკომმა მარტის პირველ რიცხვებში მოისმინა ამ სოფლის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ვ. ცისკარიშვილისა და რ. აღნიაშვილის მოხსენება პირუტყვის გამოზამთრების მდგომარეობაზე. თანამოხსენებით გამოვიდა ე. ჟურულიშვილი. აღმასკომმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, ფერმაში დასახმარებლად გაემგზავრნენ დეპუტატები და სპეციალისტები, საზამთრო საძოვრებზე გაიგზავნა დამატებითი მუშახელი და ფურაჟი. შედეგიც თვალსაჩინო მიეღეთ. კოლმეურნეობებმა პირუტყვი ადგილზე შესანიშნავად გამოაზამთრეს, ხოლო საზამთრო საძოვრებზე უმნიშვნელო ზარალი განიცადეს.

სოფელ გავაზის კოლმეურნეობაში ნელი ტემპით წარმოებდა გუთნების რემონტი, ხოლო ბაზილიკისათვის სათბურების მშენებლობა დაუშვებლად ჩამორჩა. საკითხი შეისწავლა და პირველ იანვარს განიხილა სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ. სხდომაზე მოიწვიეს კოლმეურნეობათა წარმომადგენლები და სპეციალისტები. ჩამორჩენილ უბნებზე გაგზავნა სასოფლო საბჭოს დეპუტატები. ბაზილიკის სათბურების მშენებლობის ხელმძღვანელობა თვით კომისიის თავმჯდომარემ სოლომონ ბულბულაშვილმა იკისრა. სათბურებში ბაზილიკის თესვისა და ნათესის მოვლის ხელმძღვანელობა აგრონომ მარო რაზმაშვილს მინდო. ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობაში დროულად დამთავრდა გეგმით გათვალისწინებული 500 კვადრატული მეტრი სათბურის მშენებლობა და ბაზილიკის თესვა. ახლა ამ კოლმეურნეობის სათბურებში ბაზილიკის ნათესები საუკეთესოდ არის აღმოცენებული და განვითარებული. ეს სათბურები ყველაზე უკეთესია რაიონის სხვა კოლმეურნეობათა სათბურებს შორის.

ყოველივე ეს უფლებას როდი გვაძლევს ვთქვათ, რომ თითქოს კომისიები ყველგან კარგად მუშაობდნენ. სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების მუშაობაში და მათდამი რაისაბჭოს აღმასკომის დახმარების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. სოფლის მეურნეობის კომისიები ჯერ კიდევ შორს დგანან მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადებისაგან, სუსტად მუშაობენ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისათვის. ზოგიერთი სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიები თითქმის არაფერს არ აკეთებენ. მაგალითად, ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას არა აქვს სამუშაო გეგმა, მისი წევრები იშვიათად იკრიბებიან, და როცა შეიკრიბებიან, მაშინაც მოვალეობის მოხდის მიზნით, საქმეზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ. ახალსოფლის ლენინის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებმა გასულ წელს საზოგადოებრივი პირუტყვისათვის უხეში საკვების დამზადების გეგმა სანახევროდაც ვერ შეასრულეს. დიდძალი საკვები (ჩალა, ბზე, ნამჯა) აუღებელი დატოვეს და გაფუჭდა. არც სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას და არც სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე მამაიაშვილი) ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი თავიანთი ყურადღების ღირსად არ გაუხდიათ. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ ამ კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრება ძალიან გაძნელდა, კოლმეურნეობებს მოუხდათ საგრძნობი ხარჯის გაწევა პირუტყვის საკვების შესაძენად. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ადგილი ჰქონდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დაცემას.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ენისელისა და საბუის სასოფლო საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები. აღნიშნული სოფლების კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა ერთი ნაწილი თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას. კოლმეურნეობებში არსებული მდიდარი რეზერვები გამოუყენებელია. სამეურნეო შედეგები დაბალია, მაგრამ სასოფლო საბჭოებსა და მათ აქტივს არ აღელვებს ეს მდგომარეობა.

რაისაბჭოს აღმასკომი ამჟამად სასოფლო საბჭოების მუშაობას წარმართავს პირველი რიგში ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი დახმარების გაძლიერების ნიშნით, დეპუტატების აქტიური მონაწილეობით იწვევს ბრიგადების საწარმოო თათბირებს და რაზმავს სოფლის მოსახლეობას მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მოსაყვანად.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რაიონის მშრომელებმა გაამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული საერთო სახალხო ამოცანების გადასაწყვეტად, გავაძლიერებთ დახმარებას მუდმივი კომისიებისადმი, გავაუმჯობესებთ, უფრო კონკრეტულს გავხდით სასოფლო საბჭოებისადმი ხელმძღვანელობას.

მ. დავითაშვილი,
ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

უცხოეთის პრესა ჟენევის თათბირის შესახებ

ინდოეთი

დელი, 6 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ფრი პრეს ჯორნელი", კომენტარს უკეთებს რა სარედაქციო სტატიაში ჟენევის თათბირის მუშაობას, წერს: „დალესის დიპლომატიას გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ჟენევაში. იდეა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თავდაცვითი (ე. ი. სამხედრო. — რედ.) კავშირისა, რომელსაც შეერთებული შტატები ჩაუდგებოდნენ სათავეში, ფაქტიურად დაბარცხდა. ამჟამად საკითხი ის არის, დათანხმდებიან თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები აზიის რეალისტურ თვალსაზრისზე და ამრიგად გაწმენდენ თუ არა გზას ინდოჩინეთში დაზავებისათვის და შორეულ აღმოსავლეთში დაძაბულობის შენელებისათვის. მოწესრიგება ინდოჩინეთის კონფლიქტისა, რაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობისათვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს, გარკვეულ გავლენას მოახდენს მშვიდობის აღდგენაზე კორეაში. მაგრამ მთელი საკითხი ის არის, მზად არის თუ არა დასავლეთი გადასინჯოს თავისი პოლიტიკა ჩინეთის მიმართ".

ინდონეზია

ჯაკარტა, 6 მაისი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ჟენევის თათბირის მუშაობას, გაზეთი „დუტა მაშარაკატი" წერს: „ჟენევის კონფერენციამ ინდოჩინეთის პრობლემის გადაჭრის თავისი ცდებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ჟენევაში მიწვეულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია. ეს წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ინდოჩინეთის საკითხის გადაჭრის საქმეში".

შემდეგ, ეხება რა საფრანგეთზე ზეგავლენის მოხდენას შეერთებული შტატების მიერ, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ინდოჩინეთის კონფლიქტის გადაჭრა მნიშვნელოვნად დაჩქარდებოდა და გადავლდებოდა, საფრანგეთის მთავრობას რომ თავიდან აეცილებინა ამერიკის შუამავლობა".

გაზეთი „ბინტანგ ტიმური" მიესალმება ხალხთა მზარდ სურვილს მიაღწიონ კორეისა და ინდოჩინეთის საკითხთა მშვიდობიან გადაჭრას. იგი მოუწოდებს აზიის ხალხებს შექმნან მტკიცე ერთიანობა. „თუ შეიქმნება ასეთი ერთიანობა, — აღნიშნავს გაზეთი, — მაშინ სამუდამოდ მოეღება ბოლო დასავლეთის სახელმწიფოთა კოლონიურ სისტემას აზიაში".

ნორვეგია

ოსლო, 6 მაისი. (საკდესი). ნორვეგიის ყველა გაზეთი, კომენტარს უკეთებს რა დალესის წასვლას ჟენევიდან, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჟენევის თათბირმა უდიდესი მარცხი აგემა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას. გაზეთმა „დაგბლადენტმა" მოათავსა თავისი საგარეო-პოლიტიკური კომენტატორის რაგნარ ვოლის სტატია სათაურით „დიდი მარცხი". „არავითარი ეჭვი არ არის,—წერს ვოლი, — რომ დალესმა ძლიერ დიდი მარცხი განიცადა და რომ დასავლეთის სახელმწიფოები ამჟამად შორს არიან ერთმანეთისაგან... არ შეიძლება ჩაითვალოს დალესი ერთადერთ პასუხისმგებელ პირად ერთ-ერთი უდიდესი დიპლომატიური მარცხისათვის, რომელიც ოდესმე განუცდია ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაგრამ იგი მთავარი პასუხისმგებელია. სცადეს განეხორციელებინათ „დინამიკური" საგარეო პოლიტიკა რაიონში, რომელიც განსაკუთრებით საშიშია ომის მხრივ. ეს სრული მარცხით დამთავრდა".

თეირანში გრძელდება სამხედრო წესები

თეირანი, 7 მაისი. (საკდესი). გაზეთ „ქეიხანის" ცნობით, მთავრობამ გადაწყვიტა სამხედრო წესები თეირანში 19 მაისიდან გაგრძელდეს კიდევ 3 თვით.

გონის მთავრობის მილიტარისტული ბიუჯეტი

ბერლინი, 7 მაისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტოს კორესპონდენტი ბონიდან იუწყება, რომ ბონის ბუნდესტაგმა მესამე წაკითხვით მიიღო 1954-1955 წლების ბიუჯეტი. ბიუჯეტის საერთო თანხიდან, რომელიც 27,1 მილიარდ მარკას შეადგენს, სამხედრო ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 9,4 მილიარდი მარკა, ე. ი. ხარჯების 37,5 პროცენტი.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საკითხებზე მოლაპარაკების შედეგები

ჟენევა, 6 მაისი. (საკდესი). 20 აპრილიდან 3 მაისამდე ჟენევაში მიმდინარეობდა კონსულტაციები აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ვაჭრობის საკითხებზე 25 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული, რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

კონსულტაციების დამთავრების შემდეგ თავმჯდომარემ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის საქმეთა ეკონომიური კომისიის შემსრულებელმა მდივანმა ბ-ნმა მიურდალმა გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის ვაჭრობის მოცულობის გადიდებასა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო და საგადასახდელო ურთიერთობის — გაუმჯობესებაში მიღწეული წარმატებანი, რაც მოპოვებულ იქნა პირველი ასეთი კონსულტაციის შემდეგ, რომელიც განახორციელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის საქმეთა ეკონომიურმა კომისიამ 1953 წლის აპრილში. 3 მაისს დამთავრებული მეორე კონსულტაციის მთავარი მიღწევა, განაცხადა მიურდალმა, ის არის, რომ მრავალმხრივი და ორმხრივი მოლაპარაკების მსვლელობაში ექსპერტებმა ურთიერთგაგების სულისკვეთებით შეისწავლეს კონკრეტული შესაძლებლობანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის გაფართოებისა და სტაბილიზაციისა სავაჭრო და საგადასახდელო ურთიერთობის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესების გზით.

რაც შეეხება მიმდინარე წელს ვაჭრობის განვითარებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ცხადია, რომ, თუმცა იყო ზოგიერთი გამონაკლისი, მაგრამ ვაჭრობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეტ წილ ქვეყნებს შორის მნიშვნელოვნად გადიდდა და მათი ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობა საერთოდ გაუმჯობესდა. მოლაპარაკების მსვლელობაში გამოვლინდა ვაჭრობის განვითარების როგორც სიძნელენი, ისე შესაძლებლობანი, რომლებიც შემდეგ განხილულ იქნა მომდევნო ორმხრივ მოლაპარაკებაში. კერძოდ, განხილულ იქნა საკითხები ექსპორტისა თუ იმპორტისათვის განსაზღვრული საქონლის მარაგის, ლიცენზიების გაცემის, გრძელვადიანი სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმებებისა და მრავალმხრივი შეთანხმებების შესახებ და სხვ. ამრიგად, მომზადდა ნიადაგი ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის.

წინასწარი მრავალმხრივი მოლაპარაკების მსვლელობაში ექსპერტები აღნიშნავდნენ, კონკრეტულად როგორი და რა რაოდენობის საქონლით არიან მზად მათი ქვეყნები ივაჭრონ 1954-1955 წლებში იმის დამატებით, რაც უკვე გათვალისწინებულია არსებული შეთანხმებებით ან იმ შეთანხმებებით, რომლებსაც განიხილავენ. ამასთან გამოვლინდა ტენდენცია იმ საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა, რომელიც, შეიძლება იყოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობაში. განხილულ იქნა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის სტაბილიზაციის ღონისძიებანი, სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმებათა ვადების გახანგრძლივებითა და სხვა ღონისძიებებით.

ექსპერტებმა, თქვა მიურდალმა, ყოველმხრივ განიხილეს ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის გაადვილებისათვის გადასახდელთა უფრო მოქნილი სისტემის გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა განვავითაროთ ვაჭრობა მრავალმხრივ საფუძველზე.

ბ-ნმა მიურდალმა განაცხადა, რომ, სამდივნოს მიერ წინასწარ დასახული შეხვედრების გრაფიკის შესაბამისად, წინასწარი საერთო კონსულტაციების ერთი კვირის შემდეგ მოეწყო ორმხრივი მოლაპარაკების პირველი წრე აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ექსპერტთა შორის. სულ მოხდა 133 შეხვედრა. მომდევნო დღეებში გაიმართა შემდგომი მოლაპარაკება ბევრი ქვეყნის ექსპერტებს შორის.

ორმხრივმა მოლაპარაკებამ საშუალება მისცა ექსპერტებს უფრო ღრმად შეესწავლათ სავაჭრო ურთიერთობა თავის პარტნიორებთან. რამდენიმე შემთხვევაში ვაჭრობის პრობლემების განხილვამ გამოიწვია უშუალო მოლაპარაკება და შეთანხმებათა დადება. სხვა შემთხვევებში ექსპერტებმა დასახეს ვადები სავაჭრო მოლაპარაკებისა, რაც უნდა მოეწყოს უფრო გვიან შესაბამის დედაქალაქებში. როგორც ჩანს, გონივრული იქნება, განაცხადა დასასრულ მიურდალმა, მოველოდეთ ვაჭრობის გაფართოებას უახლოესი წლის განმავლობაში, აგრეთვე მოველოდეთ ისეთ განვითარებას, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ ვაჭრობის შემდგომ გაფართოებას და, საბოლოო ანგარიშით, მის დიდ სტაბილურობას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

ბერლინი, 6 მაისი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა" დღეს გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ გამოძიების შედეგად, რაც წარმოებდა ჰაინც გლესკეს საქმეზე, რომელიც 1954 წლის 13 აპრილს დაპატიმრეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა, გამორკვეულია, რომ გლესკე 1953 წლის აპრილიდან იყო არაოფიციალური თანამშრომელი „ჟ. ფილიალისა", გელენის ჯაშუშური სამსახურის 1600 ქვეგანყოფილებისა დასავლეთ ბერლინში.

შევიდა რა გელენის სამსახურში, გლესკემ მიიღო დავალება აეყვანა აგენტები დასავლეთ ბერლინში ინგლისის დაზვერვის თანამშრომლებს შორის და მიეღო ინფორმაცია ინგლისის დაზვერვის მუშაობის შესახებ.

ამ დავალების შესასრულებლად გლესკემ კავშირი გაბა ინგლისის დაზვერვის ოფიციალურ თანამშრომელ ბიუზთან ბერლინის დაზვერვის მე-12 შტაბიდან, რომელიც ცხოვრობს მისამართით: ბერლინი-ვილმერსდორფი, ვილჰელმსაუე 137, და რომელიც მან გადაიბირა გელენის დაზვერვაში სამუშაოდ. ბიუზისაგან მიღებულ ინფორმაციას გლესკე აწვდიდა „ჟ ფილიალის" ხელმძღვანელს პეტერ ფიშერს.

თავისი უფროსისაგან გლესკემ მიიღო აგრეთვე დავალება კონტაქტი დამყარებინა ბრიტანეთის რადიოგადამცემი კორპორაციის ბი-ბი-სის ყოფილ თანამშრომელ როლფ შირმახერთან და მისი დახმარებით მოემზადებინა ბი-ბი-სის ხელმძღვანელის უილერისა და მისი მონაცვლის ჰარისონის გადაბირება და მიეღო ამრიგად საიდუმლო ინფორმაცია. გლესკემ შეასრულა ეს დავალება.

გამოძიებამ აგრეთვე ცხადყო, რომ 1953 წლის ზაფხულში გლესკემ კავშირი დაამყარა რუს ემიგრანტთა ორგანიზაციასთან დასავლეთ ბერლინში. 1953 წლის დამლევს გლესკე ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელების ა. ტრუშნოვიჩისა და ლ. ზალცბერგის თხოვნით ამ ჯაშუშურ ორგანიზაციასაც აწვდიდა ინგლისური წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას.

სახელმწიფო გადატრიალება პარაგვაიში

ბუენოს-აირესი, 6 მაისი. (საკდესი). არგენტინის პრესის ცნობით, პარაგვაიში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც სამხედრო წრეებმა განახორციელეს. პრეზიდენტი ჩავესი და მისი მინისტრები დაპატიმრებული არიან.

არგენტინის გაზეთი „ლა პრენსა" იუწყება, რომ სახელმწიფო გადატრიალებას მეთაურობენ პარაგვაის ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი მენდეს ფლეიტასი, რომელიც წინათ ელჩად იყო არგენტინაში, აგრეთვე პოლკოვნიკები სტრენერი და ფერეირო.

უ. ჩერჩილის გამოსვლის გამო კონსერვატორთა კრებაზე

ლონდონი, 7 მაისი. (საკდესი). ოვერ უკვე რამდენიმე დღეა ინგლისის პრესა განუწყვეტლივ აქვეყნებს გამოხმაურებას უინსტონ ჩერჩილის ამასწინანდელი სიტყვის გამო კონსერვატიული ორგანიზაციის „პრიმროზ-ლიგის" წევრთა კრებაზე. სულ სხვადასხვა მიმართულების პრესის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 30 აპრილის ამ გამოსვლაში ჩერჩილის შემდეგმა სიტყვებმა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ:

„ჩვენ უნდა დავამყაროთ რუსეთთან ისეთი ურთიერთობა, რომელიც, მიუხედავად ყველა გაჯავრების, შიშისა და უთანხმოებისა, დაარწმუნებს რუს ხალხს და საბჭოთა მთავრობას, რომ ჩვენ მას ვუსურვებთ მშვიდობას, ბედნიერებას, სულ უფრო მზარდ აყვავებას და სულ უფრო მშვენიერ ცხოვრებას მათს ძლიერ ქვეყანაში, და რომ ჩვენ გვსურს ვიხილოთ, რომ ისინი დირსეულ და სასახელო როლს ასრულებდნენ კაცობრიობის ხელმძღვანელობაში".

პრემიერ-მინისტრის სიტყვის სწორედ ამ ადგილმა გამოიწვია ფრიად გაცხოველებული კომენტარიები. ბევრმა ამ სიტყვებში დაინახა ინგლისის საზოგადოებრიობის ფართო ფენების გრძნობათა და განწყობილებათა ასახვა. საზოგადოებრიობისა, რომელიც შეშფოთებულია არსებული საერთაშორისო დაძაბულობით და, რომელსაც სწყურია მისი შენელება.

ინგლისში ახლა ფართოვდება მოძრაობა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, იზრდება უკმაყოფილება დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკისა და განსაკუთრებით იმის გამო, რომ ოკუპანეს გაღმიელი აგრესიული წრეები ცდილობენ აიძულონ ინგლისი შექმნას ახალი აგრესიული ბლოკი, მიმართული აზიის ხალხთა წინააღმდეგ. ეხება რა ჩერჩილის განცხადებას, ინგლისის გაზეთი „სკოტსმენი" კმაყოფილებით აღნიშნავს: „ეს, რა თქმა უნდა, ამერიკული მიდგომა არ არის". გაზეთი „იორკშირ პოსტი" 1 მაისის სარედაქციო სტატიაში წერს, რომ ჩერჩილმა ჩამოაყალიბა პოლიტიკა, რომელიც საბოლოო ანგარიშით უნდა გახდეს „ერთადერთი შესაძლებელი პოლიტიკა რუსეთის მიმართ".

გაზეთი „დეილი ექსპრესი", კომენტარს უკეთებს რა ჩერჩილის განცხადებას, წერს: „ეს განცხადება მოწმობს, რომ პრემიერ-მინისტრს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეუპოვრად განაგრძოს მეცადინეობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. მისი ახალი ეესტი მოსკოვისაკენ — პირველი მაქსის წინადღეს — მოჰყვა მის მტკიცე უარს დათანხმებოდა ამერიკის თვალსაზრისს ინდოჩინეთის შესახებ".

ლონდონის ჟურნალისტთა წრეებში ყურადღებას აქცევენ აგრეთვე იმას, რომ ერთი დღის წინ, სანამ სიტყვას წარმოთქვამდა „პრიმროზ-ლიგის" წევრთა ყოველწლიურ კრებაზე, ჩერჩილმა სამეფო სამხატვრო აკადემიის ყოველწლიურ სადილზე შეშფოთება გამოთქვა ატომური ომის საფრთხის გამო. მან იმედი გამოთქვა, რომ მეცნიერების უდიდესი აღმოჩენები არ იქნება გამოყენებული კაცობრიობის საბოროტოდ და რომ გაზრდილი საფრთხე გამოიწვევს „ომის აკრძალვას". ცხადია, ჩერჩილის ეს სიტყვები ასახავენ ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულ რწმენას, რომ ატომური ბომბები, რომლებითაც ოკეანესგაღმიდან იბერებიან, კონფლიქტის შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა თავს დაატყდება ამ ქვეყნებს.

როგორც აქ აღნიშნავენ, ინგლისის მთავრობის მეთაურის სურვილი ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენის წარმგზავნა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 6 მაისი. (საკდესი). გუშინ ჩეხოსლოვაკიაში დაიხსნა საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენა. რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა მხატვრების, მოქანდაკეების, გრაფიკოსების ნამუშევრებისადმი. გამოფენა პრაღაში ნახა 55 ათასზე მეტმა კაცმა. ბრატისლავაში — 50 ათასმა და ბრნოში — 40 ათასმა კაცმა.

გამოფენა ხელს შეუწყობს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა ხალხების მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. ახალი საცხოვრებელი სახლები ჩელუსკინელების ქუჩაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

უცხოეთის დელეგაციები თბილისში

6 მაისს თბილისში ჩამოვიდა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის დელეგაცია ბულგარეთის სახალხო სამკითხველოების კავშირის თავმჯდომარის აკადემიკოს საბა გაროვსკის მეთაურობით.

დელეგაციაში შედიან ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის ცენტრალური საბჭოს მდივანი დიმიტრ კარასტანევი, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ტროიან აპოსტოლოვი, სოფიის სახალხო ოპერის სოლისტი, დიმიტროვუული პრემიის ლაურეატი ნადეჟდა ტოდოროვა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, დიმიტროვული პრემიის ლაურეატი ტოსკო კარაზაპრიანოვი, ქალაქ ბურგასის რკინიგზის დეპოს მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი პეტკო პლიევი, ჟურნალ „ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის" მთავარი რედაქტორი კოლიო კონდარევი და სხვები.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. კვესელავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი გ. წერეთელი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ა. ბალანჩივაძე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი დ. მჭედლიძე და სხვები.

დელეგაცია გაეცნობა რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას.

• • •

7 მაისს თბილისს ჩამოვიდა „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც ტრაუნო ჰერანენი მეთაურობს.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებისა და ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საქდესი).

მოჭიდავეთა ასპარეზობა

თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქალაქო პირად-გუნდური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდა სასპორტო საზოგადოება „ნაუკის" მოჭიდავეთა კოლექტივი. პირადი პირველობის გათამაშებაში გაიმარჯვეს ა. შინჯიკაშვილმა, მ. ღუდუშაურმა, გ. ჩიტიაშვილმა, რ. ძნელაძემ, გ. ჯულუხიძემ, ვ. მაისურაძემ, ა. სიხარულიძემ და ვ. მაჩკალიანმა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულმა თეატრმა მორიგი ახალ დადგმად მაყურებელს უჩვენა დრამატურგ ვ. კანდელაკის კომედია „ორი სპეციალისტი".

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორ კ. სურმავას, მხატვრობა — შ. ყორეოლოძეს, მუსიკა ვ. კუტიტიერს.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. კუპრამაშვილი, რ. თავართქილაძე, ლ. ძიგრაშვილი, ნ. ხორავა, დ. ცხადაკაია, მ. ყოფანი, ი. ნინუა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ალ. კაკაბაძეშვილი და მ. ერგნელი, დ. კობახიძე, მ. დედანაშვილი, გ. დეისაძე, ლ. ფერაძე და ალ. ღვინიაშვილი.

სპექტაკლს წარმატება ხვდა.

თბილისის საბავშვო რკინიგზაზე

თბილისელი ბავშვების საყვარელი გასართობი ადგილია თბილისის საბავშვო რკინიგზა, რომლის სახვიმო ბანსნა მოხდა 1 მაისს. ამ დღეს საბავშვო რკინიგზის უფროსმა ამხ. გ. ბერიძემ ნორჩ რკინიგზელებს ჩაუბარა სამუშაო უბანი.

1.500-მდე ბავშვი — ნორჩი რკინიგზელი სწავლობს წრეებში, რომლებიც მოწყობილია თბილისში, სამტრედიაში, ბათუმში, სოხუმში, ზესტაფონში და სხვაგან. ბავშვები ეუფლებიან მემანქანის, კონდუქტორის, სადგურის უფროსის, მორიგის, დისპეტჩერის, მეისრის პროფესიებს, პრაქტიკულად ეცნობიან რკინიგზის მუშაობას. საბავშვო რკინიგზას მთლიანად ბავშვები მართავენ. ბევრი მათგანი შემდეგ საბოლოოდ ირჩევს ამ პროფესიას.

მოწინავე ნორჩი რკინიგზელები ივლისში გამოცდილების გასაზიარებლად გაემგზავრებიან მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვსა და როსტოვში, ხოლო აგვისტოში ისინი სტუმრად მოელიან ბაქოსა და ერევნის ნორჩ რკინიგზელებს.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 7 მაისი. დედაქალაქის „სტალინეცის" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის XVI ჩემპიონატის მორიგი ასპარეზობა „ა" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ლენინგრადი. 7 მაისი. კიროვის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „შრომითი რეზერვების" გუნდები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა თბილისის „დინამოელთა" გამარჯვებით 2:1.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები ხელს უწყობენ სსრკ სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას

Sახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს მოთხოვნამდე, ვადიანს, მომგებიანს, პირობითსა და მიმდინარე ანგარიშებზე;

გასცემენ ანაბრებს მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე; **გზავნიან ანაბრებს მეანაბრეთა** დავალებით **სსრ** კავშირის ყველა შემნახველ სალაროში; **აწარმოებენ** აკრედიტივების გაცემას და განაღდებას. **ანაღდებენ** სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მოგებას.

შემნახველ სალაროებში შეტანილ ანაბრებზე მეანაბრეებს ეძლევათ შემოსავალი ანაბრებზე მოთხოვნამდე, პირობითს ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე წლიურად 3%; ვადიან ანაბრებზე — ვადით არანაკლებ 6 თვისა — წლიურად 5%; მოგებიან ანაბრებზე შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით. ამ ანაბრის მოგებათა ტირაჟები ტარდება წელიწადში ორჯერ — აპრილსა და ოქტომბერში. მოგების თანხა დამოკიდებულია ანაბრის ოდენობასა და შემნახველ სალაროში მისი შენახვის ხანგრძლივობაზე.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისათვის მინდობილი ფულისა და ფასეულობის დაცულობა გარანტირებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

ᲨᲔᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲤᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲨᲘ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გათუმის ბოტანიკური ბაღი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. მცენარეთა ინტროდუქციის განყოფილების გამგე — 1,
2. ბოტანიკის განყოფილების გამგე — 1,
3. სელექციის განყოფილების გამგე — 1,
4. ახალი მცენარეული ნედლეულის განყოფილების გამგე — 1,
5. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ინტროდუქციის განყოფილებაში: ა) მცენარეთა აკლიმატიზაციის დარგში — 2, ბ) ფერენანი მცენარეების მეთესლეობის დარგში — 1, გ) მცენარეთა დაცვის დარგში — 1,
6. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ბოტანიკის დარგში — 1,
7. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი სელექციის დარგში — 1.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა ბოტანიკური ბაღის დირექტორის სახელზე უნდა შეიტანონ განცხადებები შემდეგი საბუთების დართვით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამტკიცების საბუთების შემოწმებული ასლები, საქმიანი დასასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან და მეცნიერული ნაშრომების სია.

კონკურსს ვადა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: ბათუმი, მწკანე კონცხი, ბოტანიკური ბაღი.

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1954-1955 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. ფილოლოგიის (ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე), 2. ფიზიკა-მათემატიკისა (მათემატიკის სპეციალობაზე).

ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება და წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

შენიშვნა: ტექნიკუმის, პედასწავლებლისა და სამწლიანი სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებზე დაიშვებიან მათთვის სავალდებულო სამწლიანი სტაჟის გავლის შემდეგ. სტაჟი არ მოითხოვებათ ტექნიკუმის და პედასწავლებლის იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც მოხვდნენ გამოშვების 5 პროცენტში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) საშუალო სკოლის დამთავრებისას „წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის" ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოებული პირები. დანარჩენი პირები მისაღებ გამოცდებს აბარებენ საერთო წესით.

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი) ყველა ფაკულტეტზე, ხოლო სპეციალობის მიხედვით — შემდეგ საგნებში:

ფილოლოგიის: ა) ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე: სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, გეოგრაფია, ერთ-ერთი უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული); ბ) რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე: სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, გეოგრაფია, ერთ-ერთი უცხო ენა;

მათემატიკის: მათემატიკა (ზეპირი, წერა), ფიზიკა, ქიმია. მისაღები გამოცდები იწრიბოებს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით. განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე, სტუდენტთა ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე. უგამოცდოდ მისაღები პირების ჩარიცხვა მოხდება 31 ივლისამდე განცხადებათა შემოტანის მიხედვით.

ინსტიტუტში შემსვლელს (თელავი, ერეკლე II ქუჩა № 1) დირექტორის სახელზე შეაქვს განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) დაწერილებით ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად გამოცხადებისას), დ) სამი ფოტოსურათი: ზომა 3×4 სმ., გადაღებული უქუდოდ და დამოწმებული სახელმწიფო დაწესებულებების მიერ, ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (აუცილებელია მხოლოდ სამხედრო ვალდებულთათვის).

მეცადინეობა ყველა კურსზე დაიწყება 1 სექტემბერს.

ოკეანისა და ბალეტის თეატრი

8 მაისს	დ. თორაძე — **მშვიდობისათვის**
9 მაისს	**პრემიერა** კ. დანკევიჩი — **ᲑᲝᲒᲓᲐᲜ ᲮᲛᲔᲚᲜᲘᲪᲙᲘ**

(დასაწყისი საღამოს 8 ს.და 30 წ.)

გამომცემლობა „კომუნისტს" ესაჭიროება

I ან II კლასის მძღოლი (შოფერი)

პირობებისათვის მიმართეთ გამომცემლობა „კომუნისტის" ადმინისტრაციას, ლენინის ქ. № 14, მესამე სართული.

მეუღლე მელანია, შვილი ანდრო, რძალი გულიკო, შვილიშვილები მანანა, ნატო იუწყებიან **ჯოტო ბიდაჯის-ძე ფაცურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-V სოფ. ოტობაიაში (გალის რაიონი).

მშობლები გიორგი, ეთერ, დები ნათელა, ნინელი ანდრაზაშვილები, დეიდა თინა ბერძენიშვილი იუწყებიან **ნანული გიორგის ასულ ანდრაზაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9-V, 4 ს. ლვოვის I შესახვევი № 14.

მეუღლე ელენე, შვილები ზურაბ, ლევან, მარო, სიძე დავით კოღუაშვილი, რძლები თინა, ლილი, შვილიშვილები თამაზ, ნანა, ეთერ, თამარ, მარინე იუწყებიან **თევდორე ზურაბის-ძე ტატიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-V, 8 ს. გამოსვენება 9-V, 3 ს. ფოთის ქ. № 3.

ცეკავშირის საქხილბოსტანის და დამზადების სამმართველოს